# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 143. კვირა, 17 აგვისტო 1903 წ. გაზეთის № 2238.


## მეზობელი

ის დრო იყო, როცა ერთის მხრივ მძიმე სამუშაო და ხვნა-თესვა, ხოლო მეორეს—ათასგვარი გარდასახადის შეტანა აფიქრებდა და აღონებდა სოფლელს. სოფლის მამასახლისები ყოველს საშუალებას ხმარობდნენ ადრე მოეკრიბათ ხარჯი და ივნისის დამლევამდე შეეტანათ ხაზინაში ფული.

სოფელ ო—თის ხარჯის ამკრებ მოხელეთ ალბად გასძნელებოდათ ფულის მოკრება, რომ ადგილობრივ მამასახლისს შეჰხვეწნოდნენ: რამდენიმე მარჯვე კაცი გაგვაყოლე ბოქაულად, თორემ ჩვენ ვერაფერს გავხდითო. ო—თის სოფლის მოხარკე, მამასახლისის ერთი თანაშემწე და ექვსი ბოქაულად წოდებული მარჯვე სოფლელი „ეკზეკუციად“ ამდგარიყვნენ და ხან ერთ ქოხს მიადგებოდნენ ფულისათვის და ხან მეორეს. სადაც ფულს ვერ მოახელებდნენ, გაჰქონდათ სახლიდან გირაოდ ცული, თოხი, წალდი, ხერხი, ქვაბი, ერთის სიტყვით, რაც ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, და ამ ნივთებს ნახევარ ფასად ხელში უგდებდნენ ამავე სოფლის მედუქნეს, რომელსაც ყოველთვის დამზადებული ჰქონდა რამდენიმე თუმანი „ზბორჩიკების“ ხელის გასამართავად.

სოფლად ხშირბინდი იყო ჩამოწოლილი, როცა ამ მოხელეებმა იერიში მიიტანეს გლეხის ოტია უხერხულიძის ქოხზე. დღის შრომისაგან მწარედ მოქანცული ოტია თავის ქოხის წინ ამართულ კაკლის ხის ქვეშ წამოწოლილიყო მოლზე, ჰალარა შერთული, დაჩეჩილის ყაბალახით წახვეული თავი თოხის ტარზე მოესვენებინა და ვახშამს უცდიდა, რომელსაც ამ ჟამად ძიგურა (ეკლის მხალი) და მჭადი შეადგენდა.

— ოტიას ვახლავართ,—დაცინვის კილოთი სთქვა ხარჯის ამკრებმა და ამ სიტყვებთან ერთად რვა სოფლელმა ფეხი მოიკეცა იქვე კაკლის ქვეშ.



ტბის გარდები.—სურათი ბრეტისა.

— აბა, ოტიავ, მოუხსენი ქისას თავი, ხომ იცი რისთვისაც გეწვიეთ!—უთხრა ერთმა ბოქაულთაგანმა.

— მოვუხსნა, თორემ მე ვიცი სულ ბაჯაღლო ოქროები გადმოჩხრიალდება! იმდენ წელიწადს თქვენ ცოლშვილს არაფერი ეტკინა, რამდენი დღეც მე გროშისთვის ხელი არ შემეხოს!...

— ოტიავ, ნუ იცი აგი ყურის წაგდება!—უთხრა ხარჯის ამკრებმა.—აგერ ექვსი წელიწადია, ბოჩიკად ვარ და მთელი სოფლიდან არ მინახავს იმდენი წვალება, რამდენსაც შენ ერთი მაყენებ. ყველაზე ადრე გაფრთხილებ, დღეში ორჯერ მოვდივარ, მაგრამ მაინც არაფერი გეშველა...

—ყველა ფულიანმა კაცმა ასე იცის ხელის მოჭერა,—იოხუნჯა მეორე ბოქაულმა.

— დალოცვილო, შენსას რომ მოსახვეტად არის ფულები, რა გიშავს, ადგე და მთელი სოფლის მაგიერ შეიტანო გარდასახადი?

— ფულები, აბა!.. ღმერთი უშველის მაგას! ერთად-ერთი დაფლეთილი საბანი ჰქონებია, სწორედ ჩიტების დასაგებ ბუდეს ჰგავს და ისე რიგად გახლართულიყო დღეს შიგ, რომ შუადღემდის მოვუნდით მაგის იმ ძონძებიდან განთავისუფლებას! — იმახვილა მესამე ბოქაულმა, რითაც ამხანაგების გულიანი ხარხარი გამოიწვია.

— ხუმრობა იქით იყოს და ამ ერთ კვირეში მართლა ერთი კაპეიკის მოხერხება არ შემიძლია, თუ გინდ რომ ცოლშვილიანა დამიჭიროთ!—უთხრა ხარჯის ამკრებს ოტიამ.

— ბიჭო და შენდა დასაჭერად ვინ მოიცლის, თორემ მადლიც კი არის ეხლა შენი ციხეში დამწყვდევა, რადგან შინ ერთი მარცვალი სიმინდი არ გექნება და იქ თურმე პურსაც კი აჭმევენ!—უთხრა ისევ მესამე ბოქაულმა, რომელსაც ამ ჟამად სხვაზე მეტად აშლოდა ოხუნჯობის სადღერღელი.

ამ გვარმა ოხუნჯობამ კარგა ხანს გასტანა. სოფლელებს დაავიწყდათ დროებით ვარამი. ათასგვარ ვაგლახით დამძი-

მებულმა გულმა რამდენისამე წამით ჟანგი მოიშორა და სალხინოდ აუტოკდა შრომის შვილებს. თუმცა ოტიაზე ნაკლებ არც ერთს მათგანს არ უმძიმდა ეხლა გარდასახადისათვის ფულის შოვნა, თუმცა ყველანი ერთ ტაფაში იხრაკებოდნენ, მაგრამ ისინი ამ წუთში არ უტყდებოდნენ გაჭირვებას და თვით ეს გაჭირვება გაეხადათ საოხუნჯო საგნად. მეტად კარგი სანახავია ამ შემთხვევაში სიცილის გუნებაზე მოსული შრომის შვილი და, თუ გნებავთ, არის რაღაც სიამოვნება თვით გაჭირვების ასე მასხარად აგდებაში. გაჭირვების წინ გულადად დგომა და საოხუნჯო მასალად გამოყენება მხოლოდ ისეთის კაცის უნარს შეადგენს, რომელიც ყოველ დღე ებრძვის ათას გვარ შემავიწროებელ გარემოებას და რომელსაც ათასგვარ ცეცხლში გამოუვლია. ასეთს ჭირში გაუტეხელი გულმაგარი ვაჟკაცნი იყვნენ ოტიას ქოხის წინ მოლზე ფეხმოკეცილი მოცინარი სოფლელნი. მაგრამ მაგარი ის არის ასეთმა ყოფამ დიდ ხანს არ გასტანა. მალე მწარე სინამდვილემ გაუთვალისწინა გლეხებს ოტიას მდგომარეობა, იმ ოტიასი, რომელსაც ამჟამად თვრამეტი მანეთი უნდა გადაეხადნა, ხოლო ამას ერთად-ერთი იმისი ქოხიც კი არ აუვიდოდა. ამ ქოხიდან გირაოს გატანის ფიქრი მეტი იყო, რადგან, თუ რამ ფასიანი ნივთი ებადა, ყველა წარსულ წლის გარდასახადში გაეყიდა. ამ გარემოებამ კვლავ დაალონა გლეხნი.

— ჰმ! ჩვენი საქმე სახუმარო არ არის და რაიმე საშველი დააყენე, ოტიავ, შენს თავს და ჩვენც მოგვარჩინე ამ წვალებას! — უთხრა ერთმა ბოქაულმა.

ხარჯის ამკრებმა გამოცდილებით იცოდა, რომ ოტიასთან ჩაგონებითა და დაყვავებით ვერაფერს გააწყობდა, ამიტომ ლალობას თავი დაანება, სასტიკი გამომეტყველება მიიღო და მტკიცედ, ბრძანების კილოთი უთხრა;

— ჩემო ძმაო, მე არავისი შეწუხება არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, მეც სიცხე მადგია. თრევა-ჩანჩალის მეტი რა სარგებლობა მაქვს? ორი თვე იქნება ჩემს ყანაში თოხი არ დამიკრავს. ზოგს მჭადი იქნებ მაინც მოუვიდეს, მე-კი ისიც სასყიდლად გამიხდება. აგერ მეექვსეჯერ ვარ შენთან მოსული და შენ ყურიც არ გაიბერტყე... თუ ხვალ საღამომდის ფული არ მოგიტანია, იცოდე შენი ერთად-ერთი ძროხა გაიყიდება გადასახადში!..

— ძროხა ჩემი საკუთრებაა, ნამზითევია და ცოცხალი თავით არავის დავანებებ! — გასძახა ქოხიდან მოხელეებს ოტიას ცოლმა ფოტინემ, რომელსაც შუათანა ვაჟი გადასწოლოდა მუხლებზე და თვალ ცრემლიანი არწმუნებდა, დროა მჭადი წამოაყენო კეციდან, დიდიხანია გამომცხვარიაო.

— ნამზითევი — მამზითევი მე არ ვიცი, ხვალ ფული უნდა დამახვედროთ! — მოკლედ მოუჭრა „ბოჩიკმა“ და თავის ამალით ოტიას მეზობლისკენ გასწია.

ამათ წასვლის შემდეგ ცოლქმარს შორის გაიმართა საუბარი. საუბრიდან ცხადი იყო, რომ ოტიასა და ფოტინეს შხამად გადაჰქცეოდათ სიცოცხლე ამ წუთი-სოფელში და ორივენი მზად იყვნენ კარები გამოეხურათ იმ უბადრუკ ქოხისათვის, რომელშიაც ამდენი სიმწარე ენახათ და გადაკარგულიყვნენ სადმე. მაგრამ ოთხი, ერთი მეორის მომდევნო, წვრილი შვილი უჭყაოდათ სახლში და ამიტომაც „ფუტს ვერ აცივებდნენ,“ როგორც ისინი იტყოდნენ ხოლმე. ბოქაულების წასვლის შემდეგ ცოლი და ქმარი ერთხანს დაჩუმებულნი ისხდნენ. მწარე საგონებელში ჩაცვივნულნი, ისინი შეეპყრო მდუმარებას, რომელსაც ხან გამოშვებით ფოტინეს ოხვრა არღვევდა ხოლმე. ბოლოს ისევ ცოლმა დაიწყო:

— ძროხას რომ გამიყიდიან, მერე ამ ჯარგვალსაც წავუკიდებ ცეცხლს და ავლოლდები!..

— მერე ვისთან მიბრძანდები? — დაეკითხა ოტია.

— ვისთანაც უნდა წავიდე, ამაზე კარგი ყოფა ყოველგან მექნება... რაც შენ გამოგყევი, მას აქეთ სიხარული არ მინახავს. ოჰ, რატომ მიწა არ გამისქდა იმ დღეს, რა დღესაც შენზე ჯვარი დევიწერე!..

— ქალო და რა ერთი ბატონიშვილები შენ გთხოულობდნენ, ყოველ დღე რომ ამას მაყვედრი? მე თუ მკითხავ, რაც შენ ჩემს ოჯახში ფეხი შემოდგი, მას აქეთ ჩემი საქმე სულ უკან უკან მიდის, თორემ წინედ მე ასე საწყლად არ ვცხოვრობდი...

— აწი და მე რა დაგიშავე? რა ერთი თუმნები გეხარჯვის ჩემჯე? ერთი ძველი ნაკაბევი მიგდია, სახლშიაც ამით დავ-



სასიამოვნო მახარობელი — სურათი ბორცისკისა.

დივარ და კარშიც იმის ამარა ვარ! უფეხსაცმელობით ფეხის გულზე ტყავი არ მაკრავს. საქალო საქმეს ხომ მე ვაკეთებ და არც მამაკაცის სამუშაოს მოვრიდებივარ, მაგრამ შენს ხელში ერთი კაი დღე არ გამთენებია. სიტიტვლით კარში ვერ გამოვდივარ, აგერ ორი წელიწადია წირვა არ მომისმენია, მარტო ძაღლივით თრევა რა სიცოცხლეა!..

— მე კი უსაქმოთა ვარ, შენმა მზემ!

— რას ვაქნევ შენ საქმიანობას, მე თუ სიხარულს ვერ ვნახავ! რაც რამ მზითევი მქონდა, სულ გადასახადში წეიღეს. თუმნად მარტო ქვაბი ღირდა და ორ მანეთად ჩეიგდო ხელში იმ თავხრიკიანმა მედუქნემ. ეხლა ერთი ძროხა-ღა დამრჩენია, შვილივით გამოზრდილი მყავს, ბალნებს ლუკმას ის ულბობს

და შენი წყალობით ეხლა ისიც გარდასახადში უნდა გაიყიდოს... გამიყიდიან და დაგადგება ხმელი მჭადი ყელზე!

— ხმელ მჭადს არ დაიწუნებ, ისიც თუ არ შემოგელეოდეს...

— შენს ხელში ამასაც უნდა მოველოდე!—სთქვა ფოტინემ მოქანცულის ხმით, რაზედაც აშკარად ეტყობოდა, რომ აღარა ჰსურდა ამ უსიამოვნო კამათის გაგრძობა.

ამგვარი საუბარი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, „ჰიჭყინი“ ხშირად იმართებოდა ცოლ ქმარს შორის და ეს კიდევ უფრო ამწარებდა ისედაც გაშხამებულს სიცოცხლეს. ყოველთვის ასეა: თავის დაქვეითების ნამდვილ მიზეზს ძნელად წარმოიდგენს დასაწყლებული, ბნელით მოცული ოჯახი და ოჯახის თითეული წევრი მეორე წევრის ხელუყრელობას, დაუდევრობას სთვლის სიღარიბის მიზეზად და სრულიად უსაბუთოდ ერთმანეთს ემიზეზებიან. ოტია ფოტინეს აბრალებდა ოჯახის დაქვეითებას, ფოტინე ოტიას უხერხულებას სთვლიდა ყოველისავე ამის მიზეზად. შედავდნენ, იკამათეს, მაგრამ გამოირკვა, რომ ორივე დიდს ჭაპანწყვეტაშია, ორივე ჯოჯოხეთურ შრომას ეწევა და თუ წელში მაინც ვერ გამართულან, ამისი მიზეზი სადმე სხვაგან უნდა მოიძებნოს. პირველად ოტიამ იგრძნო, რომ უბრალოდ ატკინა გული ფოტინეს, მიუბრუნდა და შერიგების კილოთი უთხრა:

— არა, შე კურთხეულის შვილო, ყველაფერს რომ მე მაბრალებ, აბა ერთი შენ გამომირჩიე და მეც ისე მოვიქცევი. კარგი, თუ გინდა, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მაგრამ ამით ჩვენს გაჭირვებას მაინც რომ არა ეშველება რა! ამ ბუზღუნს ის არა სჯობია, იმაზე მოვილაპარაკოთ, თუ როგორ მოვარჩინოთ იმ მედუქნის კლანჭებს ჩვენი ერთად-ერთი ძროხა! მე მარტო ერთი სახსარი მეგულება და თუ შენც დასტურს მეტყვი, ქე ვქნათ ასე...

— აბა ერთი ვნახო, რა მადენი ამოგიჩენია!

— ფოტინე, იცი რას გეტყვი? ჩვენ ეხლა სიმინდი ორმოც ფუთამდე გვექნება. აქედან ოც-და-თუთხმეტი ფუთი გავიმეტოთ. როგორც გავიგე, ფუთი ფქვილი მანეთად თურმე იყიდება ფოთში. დავაფქვევ, ვისმეს ურემს გამოვართმევ, ჩავიტან ფქვილს ფოთში და თუ მართლა ასე გავყიდე, დროებით ამ ერთ უბედურებას თავიდან მოვიშორებთ. დანარჩენი ხუთი ფუთი ერთ თვეს ქე გვეყვა და მერე ღმერთია მოწყალე! აგერ თოხით ქირაზე წავალ სადმე და თუ ენკენისთვემდის მივიტანეთ სული, მაშინ ის ერთი ნაადრევი ყანაც შემოსული იქნება.

— ცოტა ჭვავიც მოგვივა, სიმშილით იქნება არ დევიხოცოთ, მაგრამ ყოველ წელიწადს ასე რატომ უნდა მოგვივიდეს?—ეხლა სიმინდის გაყიდვა და ისიც უკანასკნელი ლუკმის, როცა თან-და თან ძვირდება, დიდი უანგარიშობა იქნება ჩვენის მხრით. ყველაფერს მოითმენს კაცი, მაგრამ უმჭადობას კი ვერა. ოჰ, ვისაც შარშანდელი გაჭირვება გაგონდება და სიმინდს კიდევ შეელევი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!.. კაცო, იქნება იმ სულგაყიდულ იოთამს მოემართა რამდენიმე თვით ხელი. ყმასავით რომ ვემსახურებით და ყოველკვირაში ორ დღეს თავის ყანაში გამუშავებს მუქთად, ნუ თუ ცოტაოდენ ხათრს არ დაიჭერს? მეზობელი კაცს ამისთანა გაჭირვების დღეს უნდა! – სთქვა ფოტინემ თავის მხრით.

— ჰმ! ხელის მომართვას ვინ სთხოვს, ამ ადგილიდან რომ არ აგვყრიდეს!

— კაცო, რას ამბობ, რა აყრა არისო?!

— ის, რომ ზოგიერთი კაცი ტყუილა ატარებს ქრისტიანის სახელს, გულით კი უნათლავია. აგერ შვიდი-რვა წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც იოთამმა ორმოცი მანეთი მასესხა. თავნი ქე მივეცი ნაწილ-ნაწილად, მაგრამ სარგებელში ვერ გაუსწორდი და ვექსილი ქე შერჩა. ისე მოვდორდი, რომ ბათილიც არ გამომირთმევია. ისიც ამდგარა, სასამართლოში უჩივლია და სუდიას სარგებლიანა ათი თუმანი მიუსჯია. დღეს სოფლის სასამართლოში შევიარე და იქ სუდის პრისტავმა მითხრა, რომ მოურიგდი როგორმე, თორემ შენის სამოსახლო ადგილის აწერას აპირებსო.

— მერე და მოსამართლემ შენდა დაუკითხავად მიუსაჯა ფულები?

— უწყება იქნებოდა ჩემ სახელზე, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენი მამასახლისის ამბავი: ის იოთამის ყურ-მოჭრილი ყმა არის. დააწერდა „ჩაბარდაო“ და მეტიც არა უნდათ რა. ვექსილიც ხომ ხელში ჰქონდათ.

ამგვარად ოტიას შევიწროვებულ მდგომარეობაში ახალმა ღრუბელმა იჩინა თავი. ეს იოთამის ვალი იყო, რომელიც სამოსახლო ადგილიდან აყრას უქადდა. ამ ვალმა წრეს გადასულ უიმედობას მისცა ფოტინე და ეს არც გაუკვირდებოდა იმას, ვინც იოთამს იცნობდა. გლეხი იოთამი იმათგანი იყო, რომელთაც ფული სალოცავ კერპად გადაჰქცევიათ და ვერცხლის ტრფიალებით გატაცებულნი არავითარს საქციელს არ ერიდებიან. იოთამი რამდენსამე წელიწადს მოურავად ედგა ერთს შეძლებულ მემამულეს და თავის მოქნილის ჭკუისა და მეტად გამწევ სინიდისის წყალობით ისე წაიყვანა საქმე, რომ ვეება მამული ამ მდიდარს, მაგრამ ჭკუა-მოკლე მებატონეს, მხოლოდ იმდენ შემოსავალს-ღა აძლევდა, რომ პატრონი ძლივს იბრუნებდა სულს. მალე ხარჯმა შემოსავალს გადააჭარბა და იმ დროს, როცა იოთამის ერთი მტკაველი სამოსახლო ადგილი თან-და-თან განიერდებოდა და საკმაოდ ფართო წალკოტით დამშვენებულ ეზოდ გადაქცევას ლამოდა, იოთამის ბატონის ადგილი წვრილ-წვრილად გადადიოდა მოვახშეების ხელში. ყოველ ნაჭერის გაყიდვის ან დაგირავების დროს იოთამის ხელს უეჭველად რამე მიეკვრებოდა. მოურავმა მხოლოდ მაშინ დაანება თავი მოურაობას, როცა მემამულეს სამოურაო აღარა ჰქონდა-რა, როცა იგი შემოსავლის ნაცვლად ვალებს-ღა სთვლიდა.

რათა სავსებით დაეკმაყოფილებინა უკვე აღძრული მადა გამდიდრებისა, იოთამმა ხელი მიჰყო მევახშეობას და იმისი თამასუქ-პირობები ობობას ქსელივით მოედო სოფელს. სინიდისის მხილება, საუკუნო სოფელზე ფიქრი და სხვა ამ გვარი ღირსეული სულის სამკაული, რაც ადამიანს პირუტყვზე მაღლა აყენებს, უცნობი ხილი იყო იოთამისათვის, რის გამო ყოველი იმის მიერ გასესხებული თუმანი ერთი-ორი წლის განმავლობაში თითქმის თავნს აჭარბებდა ხოლმე. მევახშეთა წინააღმდეგ გამოცემულმა კანონებმაც ვერ შესძლო იმისი ალაგმვა: უშიშრად აწერინებდა ნასესხ ფულებს თამასუქში ერთიორად და ზედ კიდევ კანონიერ სარგებელს აკეცდა. ამ პირობით ფულის განდობას იგი ხელის გამართვას უწოდებდა და ამგვარ ხელის გამართვაში სარგებლის მიცემის გარდა მეზობლებს რამდენიმე დღე კიდევ მუქთად უნდა ემუშავნათ იოთამის ყანაში. თუ მოვალის პირიანობაზე ეჭვი დაებადებოდა, ხელს უჭერდა ხოლმე და ერთი დღეც რომ გადასცილებოდა ვადას, სასამართლოსკენ გარბოდა. ხოლო თუ ფულს საიმედო ხელში მოამწყვდევდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ვადა გაეგრძელებინა და მხოლოდ თამასუქს გამოუცვლიდა, რომელშიაც თავნს და სარგებელს. ერთმანეთზე შეაკეცდა, ფულსკი არ გამოართმევდა, სანამ პირიან მოვალეს კარგად არ გაჰგუდავდა. თუმცა ამ ხარბ მოვახშის კბილები თვითეულს იმისს მეზობელს კარგად ჰქონდა ნაცადი, მაგრამ გაჭირვება მაინც ყველას და ყოველთვის აყოფინებდა თავს იმისგან დაგებულს მახეში. სოფელში იოთამი მოგაგონებდათ სწორედ იმ ბუა გველს, რომლის დანახვაზე სვეუბედური მსხვერპლი შეშდება და გაქცევის ნაცვლად თვისდა უნებურად მიჩოჩავს საარაკო ქვემძრომის დაღებულ ხახისაკენ.

თითონ იოთამის გამდიდრების შესახებ ბევრგვარი მითქმა-მოთქმა იყო ხალხში: ზოგი იმას ამბობდა, რომ მოურაობის დროს ბატონის სახლში სადღაც დაფარულს განძს მიაგნო და აქედან წარმოსდგა იმისი სიმდიდრეო. ზოგი—იოთამის ერთმა შორეულმა ნათესავმა ვიღაც მდიდარი „ინჯილერი“ გაძარცვა, რისთვისაც იმას ციმბირში ამოაყოფინეს თავი, სადაც მალე სული დალია, ხოლო ნაძარცვი ფული იოთამს ებარა და ქე შერჩაო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, ხოლო ის კი აზრად არავის მოსდიოდა, რომ ეს აუარებელი სიმდიდრე იმათის სისხლითა და ოფლით იყო შექმნილი, ვისაც ასე საზღაპრო გმირად გადაჰქცეოდა მათივე შრომით გასუქებული მეზობელი. ფულის შემდეგ იოთამის სატრფიალო საგანი იყო მიწა და თუ სადმე ნაყოფიერ ადგილს მოახელებდა, იმის შესაძენად არაფერს არ დაიშურებდა. რადგან თავის აზრის მისაღწევად ხერხიც შესწევდა და ღონეც, იმის ხელმოკლე მეზობლების ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები ერთი მეორეზე გადადიოდა მევახშის ხელში.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქუთაისის გასართობი.

## შეყვარებულნი



— მართალია, ელენე, აქ უშიშრადა ვართ, მაგრამ ქვეით უფრო ბედნიერად და კარგად ვგრძნობდით განა.

## ცხადათა ჩანს



— დედა, დედა, დღეს პირველი გაკვეთილი წერა გვქონდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 14 Августа 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ბის